



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი<sup>1</sup>

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)  Translation and Intercultural Studies (based on Georgian and English Languages)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	თარგმანმცოდნეობის მაგისტრი  Master of Translatology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის მოცულობა – 120 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები – 50 ECTS, არჩევითი სასწავლო კურსები – 40 ECTS, სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS. სემესტრების მინიმალური რაოდენობა – 4.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფ. ინესა მერაბიშვილი
პროგრამაზე წინაპირობა <sup>2</sup> დაშვების	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: <ul style="list-style-type: none"> <li>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: <ul style="list-style-type: none"> <li>○ ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები;</li> <li>○ სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია;</li> </ul> </li> </ul>

<sup>1</sup> პროგრამის შემუშავებისას რეკომენდებულია, გამოიყენოთ უმაღლესო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სახელმძღვანელო, ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების საჭიროებების ანალიზის შედეგები, დარგში არსებული ახალი ცოდნა, იქნას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგია (ბრძანება №:05/03), პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის წესი (ბრძანება №:07/03) და უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი (დადგენილება №72/2018), ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 3 თებერვლის ბრძანება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ.

<sup>2</sup> პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი.</li> <li>● შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში;</li> <li>● საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;</li> <li>● წერიტი გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში (თარგმანის თეორია);</li> <li>● პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით.</li> </ul> <p>უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზანია ფართო პროფილის მთარგმნელის (ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ინგლისურ ენაზე, აგრეთვე თარგმანის თეორეტიკოსისა და თარგმანის კრიტიკოსის) მომზადება.</p> <p>შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულების აღჭურვა სამამულო (ქართული) და საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული ღრმა სისტემური ცოდნითა და უნარებით, რომ მათ შეძლონ:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. თარგმანისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება: ინგლისის კულტურისა და ქართულ-ინგლისური კულტურული ურთიერთობების კვლევაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენება;</li> <li>2. სასწავლო და კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში დააკმაყოფილოს მოთხოვნა წარმატებულ მთარგმნელზე, მოამზადოს კონკურენტუნარიანი მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი, ამასთანავე, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, სწავლა გააგრძელოს შესაბამის და მომიჯნავე სპეციალობებზე;</li> <li>3. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებისაკენ;</li> </ol>
<p>სწავლის შედეგები<sup>3</sup></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მაგისტრი თავისუფლად მოქმედებს შესაბამის პროფესიულ გარემოში და წარმატებით ართმევს თავს ინგლისურ-ქართულ</li> </ol>



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>და ქართულ– ინგლისურ თარგმანს.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>2. მაგისტრატურის წარმატებით დამთავრების შემდეგ მაგისტრი დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს სწავლის პროცესს</li> <li>3. ეფექტურად გადასცემს რთულ ინფორმაციას დარგის სპეციალისტებსა და ფართო საზოგადოებას.</li> <li>4. პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე).</li> </ol>
<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სისტემურად და სიღრმისეულად ადარებს, ინტერპრეტირებას უკეთებს, განიხილავს, აჩვენებს და არჩევს ემპირიულ (თარგმანის) მასალას;</li> <li>• გამომუშავებული აქვს თარგმანის პრაქტიკული ჩვევები ინგლისური ენიდან ქართულად და ქართული ენიდან ინგლისურად. ახდენს დარგობრივი ტექსტის დეკოდირებას, დიფერენცირებას და მეორე, მიმღებ/რეციპიენტ ენაზე გადატანას;</li> <li>• აღწერს და განმარტავს თარგმანისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის კვლევის მეთოდებსა და პროცედურებს.</li> </ul>
<p>ბ) უნარები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში მთავარი კონცეფციების, უახლესი თეორიების და კვლევითი პარადიგმების (პრინციპების და მეთოდების) იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, იყენებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში არსებულ თეორიებს, უსადაგებს მათ რეალურ სიტუაციებს.</li> <li>• კრიტიკულად აფასებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სფეროში არსებულ ემპირიულ კვლევებს და ახდენს მათ სინთეზირებას, იძიებს პრობლემების გადაწყვეტის ახალ და ორიგინალურ გზებს.</li> <li>• თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში იყენებს კვლევით მეთოდებს და პროცედურებს.</li> <li>• იყენებს თარგმანმცოდნეობაში მიღებულ რელევანტურ ფართო ცოდნას, ახდენს პრობლემების/საკითხების იდენტიფიცირებას და სთავაზობს კვლევებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს (კონსულტაციებს), რაც გულისხმობს თარგმანის თეორიული და პრაქტიკული მასალის, თარგმანმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დარგის, ანალიზსა და დაუფლებას.</li> </ul>



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<ul style="list-style-type: none"> <li>• თარგმანისა და თარგმანმცოდნეობის განვითარებაში წვლილის შეტანა.</li> <li>• იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს პროფესიული და სამეცნიერო მიზნებისთვის.</li> </ul>
<p>გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ავითარებს სწავლის უნარებს იმისთვის, რომ დაგეგმოს აკადემიური კარიერა, გაიღრმავოს და გაავრცელოს ცოდნა (აკადემიურ და ფართო საზოგადოებაში).</li> <li>• დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს სწავლის პროცესს. პროფესიული საქმიანობისას იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს და ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას.</li> <li>• აკმაყოფილებს ეთიკურ ნორმებს, ეცნობა და იცავს ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს. გამოიმუშავებული აქვს ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების ადეკვატური აღქმის უნარი. ასევე კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნება.</li> </ul>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის (ან თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ვერბალური მეთოდი;</li> <li>2. წერითი მუშაობის მეთოდი;</li> <li>3. პრაქტიკული მეთოდი;</li> <li>4. შემთხვევის ანალიზი (Case study);</li> <li>5. ინდივიდუალური მუშაობა;</li> <li>6. ჯგუფური მუშაობა;</li> <li>7. ევრისტიკული მეთოდი;</li> <li>8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;</li> <li>9. ქმედებაზე დაფუძნებული სწავლება;</li> <li>10. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;</li> <li>11. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;</li> <li>12. ახსნა-განმარტებითი მეთოდი;</li> <li>13. წიგნზე მუშაობის მეთოდი;</li> <li>14. გამოცდილებით (experiential) სწავლება.</li> <li>15. პრეზენტაციის მომზადება</li> </ol>
<p>შეფასების სისტემა<sup>4</sup></p>	<p>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი სახის შეფასების სისტემა:</p>

<sup>4</sup> პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</li> <li>• ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>• დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</li> </ul> <p>ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(A) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(B) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ფორმდება F – 0 ქულა. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.</p> <p>ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით.</p> <p><b>გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:</b> სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს <u>არანაკლებ 21 ქულა</u>.</p> <p>გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი აგროვებს დასკვნითი გამოცდის 50%.</p>
დასაქმების სფეროები	<p>მაგისტრი დასაქმდება, როგორც მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი, რომელსაც სამეცნიერო მუშაობასთან ერთად შეეძლება ითანამშრომლოს რედაქციებთან და გამომცემლობებთან, როგორც მთარგმნელმა და თარგმანის კრიტიკოსმა, აგრეთვე, როგორც სტილისტ-რედაქტორმა, იმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციებში და უზრუნველყოს სათანადო თარგმანი. კერძოდ, პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:</p>



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<ul style="list-style-type: none"> <li>* სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;</li> <li>* საელჩოები;</li> <li>* სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო დაწესებულებები;</li> <li>* მთარგმნელობითი ბიუროები;</li> <li>* ფონდები;</li> <li>* კომპანიები;</li> <li>* სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები;</li> <li>* ბიბლიოთეკები;</li> <li>* გამომცემლობები;</li> <li>* მასმედია;</li> <li>* ტურიზმის სფერო და სხვ.</li> </ul>
<p>სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის</p>	<p>უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს <b>2250 ლარს</b>. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ხოლო საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა მთავრობასთან შეთანხმებით.</p>
<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p><b>ადამიანური რესურსი:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ინესა მერაბიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემისოსი</li> <li>2. ელგუჯა ხინთიბიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემისოსი;</li> <li>3. ლელა ებრალიძე, ფილოლოგიი დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი;</li> <li>4. ნათია ამირეჯიბი, ფილოლოგიის დოქტორი,, მოწვეული ლექტორი</li> <li>5. ნუგზარ რუხაძე, პედაგოგიკის დოქტორი, მოწვეული ლექტორი</li> <li>6. ელისო გოდუაძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი</li> <li>7. ვალერია ფურცელაძე, ფილოლოგიის დოქტორი,, მოწვეული ლექტორი</li> </ol> <p>(ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დართულია).</p> <p><b>მატერიალური რესურსი:</b></p> <p>სამაგისტრო პროგრამა „თარგმანი და კულტურათმშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)“ მომზადებულია და ფუნქციონირებს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევეროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს</p>



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>ინსტიტუტის ბაზაზე. სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სრულად უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანის კაბინეტი, თსუ, მე-4 კორპუსი, ოთახი №312. სალექციო კაბინეტი უზრუნველყოფილია სათანადო დარგობრივი ბიბლიოთეკით (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).</p> <p>სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები;</p> <p>უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები. უნივერსიტეტს გამოწერილი აქვს მრავალი ელექტრონული რესურსი, რომლებითაც სარგებლობა შესაძლებელია როგორც თსუ-ს კომპიუტერებიდან, ისე თსუ-ს გარედან, საუნივერსიტეტო ელფოსტის გამოყენებით.</p> <p>თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. <a href="https://www.tsu.ge/ka/library/page/893">https://www.tsu.ge/ka/library/page/893</a>.</p>
<p><b>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</b></p>	<p>სამაგისტრო პროგრამის „თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)“ ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.</p>
<p><b>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</b></p>	<p>დამატებითი ინფორმაციის სახით პროგრამაში შესაძლოა აღწერილ იქნას პროგრამის განსაკუთრებულად ძლიერი მხარეები. მაგ. საერთაშორისო თანამშრომლობა, ინდუსტრიასთან თანამშრომლობა, თემის საჭიროებებსა და ეროვნულ და საერთაშორისო პრიორიტეტებზე ორიენტირებულობა და სხვ.</p>